ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული



სურათებიანი ჟურნალი

ივნისი
№ 11
1910
მცირე წლოვანთათვის.
წელიწადი მეექვსე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი.

I—მერცხალი,—დექსი, შ. მღვიმელისა . . . . . . . . . . . . . . 3

II—გმირი ქრიჭინა,—ცქვიტისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

III—დანაღვლიანებული ღამურა,—ივ. ელიაშვილისა . . . . . . 10

IV—ძაღლი და ფული,—ელენესი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16

V—ვირის თავგადასავალი.—XXVI ნავი (ფრანგულით)
ან. ამილახვარისა (დასასრული) . . . . . . . . . . . . . . . . . . 19

VI— ა) შარადა,—ბ) რებუსი და ახსნა . . . . . . . . . . . . . 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

№ 11.—ივნისი, 1910 წ.



ბრძოლა

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი.

I—მერცხალი,—დექსი, შ. მღვიმელისა . . . . . . . . . . . . 3

II—გმირი ქრიქინა,—ცქვიტისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

III—დანაღვლიანებული ლამურა,—ივ. ელიაშვილისა . . . . . . 10

IV—ძაღლი და ფული,—ელენესი . . . . . . . . . . . . . . . . . . 16

V—ვირის თავგადასავალი.—XXVI ნავი (ფრანგულით)
ან. ამილახვარისა (დასასრული) . . . . . . . . . . . . . . . . 19

VI—ა) შარადა,—ბ) რებუსი და ახსნა . . . . . . . . . . 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერცხალი.

(გუგულა მაჭავარიანის ხსოვნას)

ერთი პაწია მერცხალი
სულ ჭიკჭიკობდა, გალობდა,
ყვავილით სავსე ველებში
დაჰქროდა, დასრიალობდა.

რა დასტკბებოდა ფრთა-ცელქი,
შინისკენ მოცქრიალობდა,
მორთავდა ჭიკჭიკ-ჟღურტულსა;
მშობელთა გული ხარობდა...

ერთ დღეს ცამ დაჰკრა, დასჭექა,
საშინლად დაიგრიალა,
დაჰქროლა ქარმა ძლიერმა,
ღრუბლები შეატრიალა.

თბილისი

წვიმას თან მოჰყვა ხრიალით
სეტყვა მკაცრი და ბზრიალა,
შინ აღარ დაბრუნებულა
ჩვენი მერცხალი ჰქრიალა.

მას აქეთ კაი ხანია,
კაი დრო ჟამი გავიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ბევრჯელ ამოუწვერა
და ბევრჯელ ისევ ჩავიდა.

მახარობელი დილისა,
არ ვიცით, საით წავიდა,
ისევ თბილ ქვეყნებს მიმართა
თუ მაღლა ზეცად ავიდა?!...

შ. მღვიმელი.



# გმირი ჭრიჭინა.

ჭრი, ჭრი, ჭრი,—გაისმოდა შუა ღამისას ბოსლის კარებთან ჭრიჭინას დაუღალავი ჭრიჭინი და ტკბილად მიძინებულ არე-მარეს თითქოს სევდით ავსებდა.

— რა იყო, ადამიანო, რა გაჭრიჭინებს ეგრე ხმა-მაღლა, ქვეყანა ხომ შენ არ დაგრჩენია?—გამოეხმაურა იქვე დამტვრეულ ქვევრებთან მოსეირნე, თვალებ-ჭყეტია ბაყაყი, თან რუს აქეთ მარდად გადმოსკუპდა და მედიდურად გამოიჭიმა ბოსლის კარებში სიპ ქვაზედ.

— ჭრი, ჭრი, ჭრი!—რა, და, ღმერთმა რო არ იცის, ი ჩვენი ახალი პატარძლის თავ-ტანი! შეჩვენებული, ისეთი რაღაც პრანჭია გამოდგა, გეგონება, ერუანჩელა დემეტრეს გოგო კი არა, მუხრან-ბატონის შთამომავალი არისო.—გაჯავრებით უპასუხა ჭრიჭინამ და თან ულვაშების ცმაცუნით თავისი ჭიანური ისევ აახმაურა.

— მაინც რა იყო, გული რაზედ გაგიცხარებია, ცოტა ოდნავ შენის თავის შებრალება არ უნდა იცოდე?

—რა და ისა, ადამიანო, რომ აგერ ხუთი წელიწადია ამ სახლის მდგმური ვარ, ყველამ ისე შემითვისა, რომ უბრალო სიტყვაც არავისგან მსმენია და მაგ არამზადა პატარძალმა-კი კინაღამ სულ მთლად დამღუპა. ღმერთმა ხომ იცის, დიდიან-პატარიანად, ყველას ისე უყვარდი, რომ სამხრის დროს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ბუხრის წინ საუზმედ თავს მოიყრიდნენ, მეც იქვე თაროს გვერდით აბჟუტებულ სანათთან გამოვმვრებოდი და ჩემის მღერით, მოქანცულ ხალხს სმენას ვულხენდი. ან განა ის ღამე დამავიწყდება, როდესაც ავადმყოფობის დროს, გონებაზედ პირველად მოსულმა პატარა პალიამ შუაღამისას უწინ ჩემ ჭრიჭინს მიაქცია ყურადღება და გახარებულმა, ჩუმად ზედ დამტირალე დედას, სუსტის ღიმილით შეჰბუტბუტა: „დედა, აგერ, ჭი, დედა, ჭიაო“. სიდო კი სიხარულით კინაღამ გადაირია: მივარდა ბავშვს, გამხდარ ხელებზედ კოცნა დაუწყო და იმავე დროს ჩემს გულადს ჭრიჭინს ლოცვა-კურთხევა მოუმღვნა. ახლა-კი... ჭრი, ჭრი,—გასძახა უფრო გამწარებულმა, თან თხრილიდან სიოზედ თავი გამოჰყო და ბაყაყს ჩაჰხედა.

— ჰო, კარგია, თუ ძმა ხარ, ყურები ნუ გამომიჭედე. ერთი ის გამაგებინე, ახლა რაღა დაგემართა, ქურდობაში ხომ არ დაგიჭირეს?

ჭრიჭინამ, ცოტა არ იყოს, იუკადრისა ეგ შეურაცხყოფა და ისედაც გაჯავრებულმა გესლიანად ჩამოსძახა:

— შენ, ეი, წყალმანკიანივით რომ გაბერილხარ! რაღა შენი დაჩაგვრა მინდა, თავად ისედაც გულს ლამისცეცხლი წამეკიდოს. განა როდისა გსმენია ჩვენის გვარეულობის ქურდობა, რომ ჩემისთანა მანდილოსანს ეგ ცოდვა ვინმემ შემომწამოს. ნეტა ვიცოდე, რას თავხედობ, ვის ეხუმრები?!

— არა, უკაცრავად, განა საწყენად მოგახსენე. მხოლოდ ის გითხარ, იქნებ თაროზედ სეირნობის დროს საჭმლით სავსე ჯამში ჩავარდი მეთქი და... ხომ იცი, ეგენი მეტად მიზეზიანი ხალხნი არიან.—შეეცადა ბაყაყი თავის მართლებას და ვითომ უფრო თანაგრძნობით ჩაეკითხა:

— მაინც გული ეგრე რაზედ ამოგჯდომია? მიამბე შენ სიმართლის მზესა.

— რაზედა, ბატონო, და იმაზედ, რომ, მოიყვანეს თუ არა ეგ პატარძალი, მეც, სხვასთან ერთად მხიარულებას ჩვეული, იმათ ქორწილს შეზარხოშებულმა ჩემი სიმღერა შევაწიე და იმან-კი თავის ტოლ გოგოებს ასე წასჩურჩულა:

— ეს ტიელი, ჭიები და ნამეტნავად ჭრიჭინები, როგორც ჭირი, ისე მეჯავრება და დახე აქაც რამდენი ყოფილაო.

— ალბად იმ ცხვირ-წითელას ეგონა, საქმრო მეფის სასახლეში წამიყვანს და შუშაბანდში დამსვამსო, თორემ, განა არ იცის, რომ გლეხ-კაცის სახლის გამხარებელი ჩვენა ვართ? ბარემ მისი სიტყვები გულს თოფივით მეცა, მაგრამ, აბა, უცხო ქალს იმოდენა ხალხში როგორ შევარცხვენდი. ხმა გავკმინდე. მას შემდეგ, როცა სახლში არავინ იყო, მხოლოდ მაშინ ვართობდი ჩემ გულის ჭიას, მაგრამ იმ დღეს კი, მოსავლით გახარებული ვანო სახლში რომ დაბრუნდა და ბუხრის პირად ტოლ ბიჭებთან სავსე ხონჩას მხიარულად შემოუსხდა, მეც გულმა სიხარულით ისე დამიწყო ფანცქალი, რომ იმ შეჩვენებულის სიტყვები აკი სულ არ დამავიწყდა და შემოვძახე... რას მოვიფიქრებდი!... ის არამზადა ფიცხლავ გარედ რომ გამოვიდა, ასე მეგონა, ჩემს ჭრიჭინს თავი მოარიდა მეთქი და გამარჯვებულმა უფრო გულადად დავმღერე. დავაცადე ცოტა ხანი და აკი ქარივით ისევ სახლში არ შემოიჭრა! ხელში თიხით სავსე ნატეხარი ეჭირა და გაბრაზებული ჩემსკენ მორბოდა. ხმა ჩავიკმინდე—კედელში ბარემ ღრმად მივიკუნჭე, მეგონა ცეცხლს წამიკიდებს მეთქი, მაგრამ ცეცხლის წაკიდებაზედ უარესი დამმართა: უცებ ვიგრძენ, რომ თვალთ დამიბრმავდა, თავბრუ დამესხა და, რაკი ყველა ეს შიშს მივაწერე, ჩემს თავს მალა დავატანე და ჭუჭრუტანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ ჭაერის ჩასაყლაპად გამოვემშურე... მაგრამ ვაი მკნ[illegible] მტერს, რაც მე იქ შიში ვჭამე: იმ ულმერთოს ჭუჭრუტანა ტალახით ამოევსო და სული იმიტომ მიგუბდებოდა. მართლა რომ სიცოცხლე მეტად ტკბილი და მვირფასი ყოფილა, თორემ განა სხვა დროს იმას მოვახერხებდი, რაც მაშინ მოვიქმედე? ერთ წამს მომაგონდა, რომ უკანა კედელი ოდნავ გაბზარული იყო და შემდეგ პაწია ხვრელი გარედ ბაკისკენ მოდიოდა. ვეცი იმ მხარეს და, მადლობა ღმერთს, თავ-პირ ჩაჩეჩქვილმა და გვერდებ შენგრეულმა მაინც დროზედ გამოვახწიე. გამოვეცალე იმ კერას სამუდამოდ, მაგრამ განა ადვილი სათქმელია მველის ოჯახის მოშორება და მისი დაკარგვა?! ვინ იცის, რამდენის ლხინისა და ჭირის მოზიარე ვიყავ იმათთვის, მაგრამ სად არის სამართალი?..

დაათავა ჭრიჭინამ, თან ის იყო თავისი „ჭრი, ჭრი“ უნდა შემოეძახა, მაგრამ უცებ ხმა ჩაკმინდა: ბოსლის კარები, რომლის თავზედაც იჯდა, ვიღაცამ ჩუმად გააღო და საწყალ ჭრიჭინას თავ-ზარი დასცა. გულ-გახეთქილი, ვითომ მოშორებით საწნახლისკენ გაჰქანდა, მაგრამ თავ-გზა არეულმა იქვე პირდაღებული ბანი ვერ შეამჩნია და მის პირდაპირ მწოლ პატარძალს ზედ ცხვირზედ-კი დაეცა. ნამძინარევმა პატარძალმა ერთხელ-კი პირზე ხელი ითხლიშა და წივილით ზეზე წამოვარდა. მის წივილზედ შემოპარულმა ქურდებმა კარები გამოიბრახუნეს და თავ-პირის მტვრევით ვენახისკენ გაჰქანდნენ.

**

მეორე დღეს, დილა სისხამზედ, ვანო საკინძ-ჩამოგლეჯილი, წყლის პირას იჯდა, ნამგალს პირს ულესავდა და მეზობლებს ასე უამბობდა:

— სწორედ რაღაც მადლი მიმიძღვოდა ი ღვთის წინაშე, თორემ რადა იმ დროს დაეცა ის ჭია ჩვენს მშიშარა პატარ-

მალს. უნდა კი ვითხრათ, რომ წუხელა, მართლა, ისე ვიყავით დაღლილი, რომ საქონელი კი არა, ჩემთვისაც ყელი რომ გამოეჭრათ, მაინც ვერაფერს გავიგებდი.

დასახიჩრებული ჭრიჭინა კი იქვე ღობეს შეჰკედლებოდა და, უკანა ფეხებ დაწყვეტილი, თავის სიმახინჯეს ულვაშების კანკალით ლამაზ ყაყაჩოს შესჩიოდა.

ცქვიტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანაღვლიანებული დამურა.

შარშანდელს ჩემს ორ შვილში ერთი მეტად ანცი და დაუდეგარი გაიზარდა. არ ვიცოდი, რა მეღონა მის დასამშვიდებლად. ვიმედოვნებდი, გაიზრდება და თავისთავად ჭკუაზედ მოვა მეთქი, მაგრამ ბედმა მიმუხთლა. ის იყო შეეჩვია თავისით საზრდოს მოპოვებას, დამოუკიდებელი მშრომელი შეიქნა და სწორედ ამ დროს ჩავარდა განსაცდელში. შარშანდელი ზაფხული ჩვენში გვალვიანი იყო. ქვეყანა შეწუხდა. ფოთლები შეყვითლებული იყო და ისე ჩამოექინდრათ თავები, თითქოს დიდს მწუხარებას განიცდიანო. სწორედ ესეც იყო. თუ წვიმა არა, რომელიც ალბობს მიწას, ადნობს ნიადაგში მყოფ სხვა და სხვა მარილს, რომლითაც საზრდოობენ მცენარენი, მაშ, რაღაა მათი ნუგეში? კიდევ კარგი, რომ ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში რიგიანად ხეირობს ხე-ხილი და ყოველგვარი მცენარეულობა, რომლითაც თითქმის მთლად მოფენილია ჩვენი მხარე. სადაც მცენარეულობა ასე კარგად ხარობს, იქ დიდი ხნის უწვიმობაც ბევრს ვერას აკლებს ხეხილს, რადგან ჩრდილით დაფარული მიდამო საკმარისად იცავს ნიადაგში საზრდოსათვის საჭირო ნამს. მხოლოდ სადაც ხე-ტყე ნაკლებია და საზოგადოდ მცენარეულობა ნაკლებად ხარობს, იქ მზის ცხელი შუქი ნიადაგის მთელს ნამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლად აქცევს ხოლმე და ჰაერში გზავნის. მერე, თქვენც კარგად იცით, ეს ორთქლი უერთდება ზღვას, მდინარისა და ტბებისაგან აორთქლებულს ნამს და ამ გვარად ჩნდება ღრუბელი, რომელსაც, ჰაერის მაღალს ფარდებში შეოფი სიცივე მოხვდება თუ არა, წვიმად აქცევს და ამ სახით უბრუნებს დედა-მიწას მზისაგან დროებით წართმეულს სარჩოს. ნუ იფიქრებთ, რომ ეს დროგამოშვებითი მოვლენა ცუდი იყოს ქვეყნიერებისათვის. სრულიადაც არა. მცენარეულობას რომ ძირში ბევრი წყალი ჩაუდგეს, რომ ჩვენმა ცხოველმყოფელმა მზემ ზემოდ აწერილის წესით არ იმოქმედოს, წყალი აშმორდება, შიგ აურაცხელი დიდი და პატარა ჭია-მატლი დაიბუდებს, ძირებს დაუცრეცს, დაულპობს და მცენარესაც გაახმობს. ამიტომ მზის შუქის ამგვარი მოქმედება აუცილებლად საჭიროა და სარგებელი ამ მხრივაც და მეორეს მხრით იმითაც, რომ დროგამოშვებით წვიმის მოსვლა აგრილებს ქვეყანას, ჰაერის სიცხესა და სიმშრალეს ანელებს და მასთან ერთად სწმენდავს მტვერისგან. გარდა ამისა, ზევიდან დაპკურებული წვიმის ნამი ასუფთავებს ფოთლის, — ამ მცენარის ფილტვების, — ზედასა და ქვედა პირს ზედ შეყრილ მტვერისაგან სწორედ ისე, როგორც ცხოველები წყალში ტანის დაბანით იწმენდენ სხეულს. აი, ამიტომაა აუცილებელი საჭირო მცენარეთათვის დროგამოშვებით წვიმა და ცხოველთათვის ტანის დაბანით სისუფთავის და მასთან ერთად ჯანმრთელობის მოპოვება. ჩვენთვისაც ჟუჟუნა წვიმა ფრიად სასიამოვნო და სასარგებლოა; დიდი თავსხმა კი არა. სასიამოვნოა იმიტომ, რომ სუფთა ჰაერის გემო ჩვენც გვაქვს გაღებული; ვიცით, რა სასარგებლოც არის მით, რომ ბევრი მწერი უწვიმოდ იხოცება და, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი სარჩო-საბადებელი ეს მწერები გახლავან. საბრალო უმეცარ ხალხს არა გაეგება-რა ჩვენის ცხოვრებისა, ასე ჰგონია, ღამურა ადა-

მიანისათვის ურგები და მასთან მავნეაო. ვიღასაც ჭორი დაუჯერია, ღამურა ადამიანს თმაში ჩაეჭიდება და არას გზით მისი მოშორება არ შეიძლებაო. აი, სწორედ ამ უმეცრებით გავრცელებულმა ჭორმა გადაიყოლა ჩემი შვილიც. ივნისის საღამო, მშრალ სიცხით შეხუთული, უძრავად დასწოლოდა ჩვენს მხარეს. დედა-მიწის ზედაპირი დამსკდარიყო და, მშიერივით პირდაღებული, წვიმას მოლოდინში იყო. ძრომა-ამაგის დამხარჯველი გლეხ-კაცობა მამა-შვილურის გულმტკივნეულობით დასცქეროდა თავის მასაზრდოებელ ჭირნახულს. ბესო კვესაძის ქოხში ჭრაქი ბჟუტავდა, მისი მკრთალი ნათელი ღია კარებიდგან ქოხის წინ მინდორს ოდნავ ეფინებოდა. სინათლეზე მწერებს თავი მოეყარათ და მხიარულად ჰაერში ფუსფუსებდნენ. ჩვენც გამოვფრინდით სარჩოს საძებნელად და პატარა ქალ-ვაჟებიც, ბესოსი და იმისი მეზობლების შვილები, გამოცვივდნენ მინდორში სათამაშოდ. ბესოს 12 წლის ვაჟი — კოკი-ხუჭუჭ თმიანი ბავშვია, ცელქი და დაუდეგარი. სულ იმის ფიქრში იყო, რომ დღეს თუ ხვალ ღამურა თმაში ჩამეჭიდებაო და ჩვენს მტრობას გულში იმარხავდა. გავიხედე, კოკის გაუხდია პერანგი, ბურთივით შეუკუმშავს და მაღლა ისვრის. ჩემი ცელქიც გამოეთამაშა კოკის პერანგს და თავს ევლებოდა ასეთს უცნაურ ბურთს. ერთიც ვნახოთ, გაეხვია საცოდავი ბავშვის პერანგში და თავი ვეღარ დააღწია. კოკიმ ზედიზედ წიხლები დაახილა პერანგში გახვეულს ჩემს შვილს და იქვე სული გააფრთხობინა თან ზიზღითა და შიშით კოკიმ ღრიალი შეჰქნა, არიქა, მიშველეთ, ღამურა დავიჭირეო. საჩქაროდ მიანათეს ჭრაქი და მართლაც დაინახეს პერანგში გაბლანდული ჩემი შვილი, რომელმაც ორიოდეჯერ კიდევ ამოისუნთქა და სამუდამოდ ფეხები გასჭიმა. უჰ, დაიქცეს და დაიღუპოს ის წამი! რამდენი ვიფრინე, რამდენი ვიფრთხიალე, მაგრამ ვერას გავხდი. კო-

კიმ წაიღო თავის ნანადირევი, ქოხში შეიტანა, მჩვარში გაახვია და დილით ადრე სოფლის მასწავლებელს მიუტანა. მეც სკოლის სხვენზედ მაქვს ბინა და ყოველსავე იქ ნათქვამს ყური მოვკარი.

— აი, ბატონო სამსონ,— ასე ეძახდენ მასწავლებელს,— ჩიტი მოვკალი წუხელ, აი, ღამურას რომ ეძახიან, და გაკვირვებული ვარ, რომ ჩიტს სრულიადაც არა ჰგავს.



— იმიტომ არა ჰგავს ღამურა ჩიტს, ჩემო კოკი, რომ ის ჩიტი-კი არა, სულ სხვაგვარი ცხოველია. აი, ვნახოთ და გავარჩიოთ: ყველაზე ადრე თვალს ეჩოთირება ის, რომ ამ ღამურას ორი ძუძუ ასხია, შემდეგ თავ-პირი ერთის შეხედვით უფრო მაიმუნს მიუგავს, ვიდრე სხვა რამ ცხოველს და ჩიტს-კი, ჩემო კოკი, არაფრითაც არა ჰგავს. შემდეგ ჩვენს ყურადღებას იქცევს ეს დიდი ყურები, განიერი პირი თვისის მრავალის, 28—38 კბილით, ეს თავისებური საფრენი აპკი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც გადაკრული აქვს ღამურას ორივე ხელის ძვლებ-შუა, ფეხებსა და კუდ-შუა და მიკრული გვერდებზე. ეს აპკი უწევს ღამურას ფრთების მაგივრობას. თითო ხელზე ხუთი თითი აბია, რომელთაგან ოთხი გახვეულია აპკში და მეხუთე, ცერი, თავისუფალია, მოკლეა და ბრჭყალით თავდება. რადგან მთელი ხელის ძვლები საფრენ აპკისათვის აქვს მოწყობილ-შეთვისებული, ამიტომ ღამურების გვარს ხელ-ფრთა ცხოველებს უწოდებენ. ეს პატარა თვალები, ცხვირი, გულ-მკერდი, ბეწვი,— სულ თავისებური აქვს ღამურას. დიდი ყურები აქვს და საგანგებო სმენა: სულ უბრალო პეპელას ფრენით აღძრული ხმაურობა ესმის და თუნდ თვალდახუჭულიც-კი მიაგნებს და შესანსლავს. შეხების გრძნობაც ძალიან განვითარებული აქვს. ჩვენში გავრცელებული დიდ-ყურა ღამურა სულ ერთის გოჯის ოდენაა. დღისით ჰკიდია სადმე სხვენზე, ხის ფუღუროში, დანგრეულს შენობებში, ან სადმე გვირაბში თავ-დაღმა. ასეთი ხასიათი აქვს, ჩამოეკიდება თავ-დაღმა და უცდის მზის ჩასვლას, როცა პეპლები, ბუზები და სხვა ღამის არა-წმინდა მწერები გამოჰყოფენ სანავარდოდ გარედ თავს. ახლა ჩვენს ღამურასაც მოსწყინდა ძილი და შიმშილმაც, ცოტა არ იყოს, კუჭი აუწვა. აგერ ცქვიტად გამოფრინდება, მოედება მინდორ-ველსა და ხე-ტყეს და დაუწევს ხსენებულ მწერებს განადგურებას. სულ ერთიანად მუსრს ავლებენ ხოლმე აურაცხელი ღამურები ამ ხეხილისა და ბოსტნეულობისათვის მავნე მწერებს. მთელის გაზაფხულის და ზაფხულის განმავლობაში და შემოდგომაზე ოკტომბრამდე ასე ატარებენ დროს ჩვენი ღამურები. აცივდება თუ არა, მოიყრიან ჯგუფ-ჯგუფად თავს, მონახვენ სადმე მყუდროსა და თბილ ადგილს და ერთმანერთის მახლობლად ჩამოეკიდებიან თავ-დაღმა. მთელ ზამთარს ასე ატარებენ ძილში მარტამდე, სანამ დიდებულ მნათობის

ეროვნული

თბილი სხივები არ გააცხოველმყოფელებს სიცივისაგან მიძი-ნებულსა და შეკრულ-შებოჭილს ბუნებას.

ღამურამ სასაცილო სიარული იცის. ფეხებით კიდევ და-ფოფხავს საცოდავად, მაგრამ ხელებს სასიარულოდ სრულე-ბით ვერ ხმარობს, თუმცა-კი სცდილობს ცერებზე შედგომას. სამაგიეროდ ფრენაში მალიან მარდია.

ჩვენთვის ფრიად სასარგებლო ცხოველია ღამურა, ჩემო კოკი, და ამას იქით იცოდე, რომ არა თუ მოკვლა, არამედ მისი უბრალოდ გაჯავრებაც-კი ცოდვაა.

„კარგი დაგემართოს“, გავიფიქრე ჩემს გუნებაში, როცა მას-წავლებლის უკანასკნელი სიტყვები გავიგონე, მაგრამ ჩემის შვილის გამცოცხლებელი ვინ არის? აი, რასა სჩივის და რას მოსთქვამს ჩემი დანაღვლიანებული გული.

**ივანე ელიაშვილი (ივანელი).**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძაღლი და ფული.



ორი ცხენოსანი კაცი ქალაქიდან სახლში ბრუნდებოდნენ. ერთ მათგანს თან ახლდა ძაღლი და საშინლად უქებდა თავის თანამგზავრს. ამბობდა: რაც უნდა რამ დამრჩეს, ან დამეკარგოს გზაში, ჩემი ერთგული „წერო“ უთუოდ მიპოვნის და მომიტანსო, თუ-კი, რასაკვირველია, ვანიშნებო. დასარწმუნებლად ამოიღო უხალთუნი საფულედან და ამოაფარა ქვეშ დიდ ქვას გზის პირად. შემდეგ განაგრძეს თავიანთი გზა. როდესაც გაიარეს სამის ვერსის მანძილი იმ ადგილიდან, საცა ფული შეინახეს, პატრონმა თავის ძაღლს ანიშნა. ძაღლი ელვის სისწრაფით გამობრუნდა უკან, გაჰყვა გავლილს გზას და მივიდა დანიშნულ ადგილას.

გაიარა კარგმა ხანმა, მგზავრები შინ მივიდნენ კიდეცა, მაგრამ ძაღლი არსად სჩანდა. დაღამდა. არც პატრონმა და არც სხვებმა არ იცოდნენ, რა შეემთხვა პატრონის ერთგულ და მოყვარულს წეროს.

წეროს-კი აი რა შეემთხვა: გონიერმა ძაღლმა სავსებით შეასრულა პატრონის ბრძანება: სწრაფად იპოვა ის ქვა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლის ქვეშაც ამოსდვეს ფული და მთელი თავისი მალ-ღონით სცდილობდა გადაეგორებინა, მაგრამ ქვა მეტის მეტად მძიმე აღმოჩნდა, მაშინ წერო შეუდგა ქვის ქვეშ ორმოს თხრას, რომ როგორმე თავის თათების შემწეობით ფული გამოეღო. ამ დროს გამოიარა ვიღაცა მგზავრმა; რო დაინახა მაღლის ასეთი თავ-განწირული მუშაობა, ხალისი აღემრა და მოინდომა გაეგო, რისთვის ფხოჭნიდა მაღლი მიწას. ჩამოხდა ცხენიდან, მივიდა, აჭხედ-დაჭხედა ქვას, გადააბრუნა და უხალთურის მეტი იქ ვერა დაინახა რა. აიღო ეს ფული, ქისაში ჩაიდო და გაუდგა თავის გზას. სრულებით ფიქრად არ მოსვლია, რომ მაღლი სწორედ ამ უხალთუნს ეძებდა. საცოდავი წერო ყველაფერს ამას უცქეროდა და სასოწარკვეთილებისაგან აღარ იცოდა რა ექნა! მაგრამ მალე გონს მოვიდა: გამოუდგა უკან მგზავრს, შეჰყვა სახლში და სრულებით დამშვიდებული დაწვა მაგიდის ქვეშ და იწვა იქ, ვიდრე მგზავრი ვახშმობდა; ვახშმის შემდეგ საწოლ ოთახშიაც შეჰყვა და შეწვა ლოგინს ქვეშ. მგზავრიც არას უშლიდა, არ უჯავრდებოდა, რადგანაც ატყობდა, რა ლამაზი და მვირფასი მაღლიც იყო; პირიქით გაეხარდებოდა კიდეც, თუ წერო არ მოშორდებოდა თავის დღეში.

ზაფხულის ღამე იყო და ცხელოდა. მგზავრი დასაწოლად მოემზადა: გაიხადა თავისი ტანისამოსი, ჩამოჰკიდა ლურსმანზედ და თითონ წამოწვა. ფანჯარა ღია დასტოვა, რადგანაც მეტად ცხელოდა. მაღლი საწოლ ქვეშიდან თვალს არ აშორებდა მგზავრის მოძრაობა-მოქმედებას. ჩასთვლიმა თუ არა მგზავრს, მაღლი სასწრაფოდ მივარდა ტანისამოსს, ჩამოჰგლიჯა ლურსმიდან პიჯაკი და შურდულივით გავარდა, გაღებულ ფანჯარაში. იქნებოდა დილის ოთხი საათი, როდესაც წერო მივიდა თავის პატრონთან და მიუტანა ტანისამოსი. როცა წეროს პატრონმა პიჯაკის ჯიბეები დასინ-

ჯა, ნახა ის უზალთუნი, რომელიც გზის პირას ქვის ქვეშ ამოსდო. ამ უზალთუნთან ერთად იყო სხვა ფულიც და საათი. ამ ნივთების ამბავი წეროს პატრონმა გაზეთებში გამოაცხადა. ნივთებს მალე გამოუჩნდა პატრონი და მოვიდა წასაღებად. უამბო ყველას, რა ჭკვიანად და ხერხიანად მოიქცა წერო თავის სურვილის შესასრულებლად. ყველანი გაკვირვებულნი და განცვიფრებულნი იყვნენ მაღლის გონიერებით. ყველანი ელერსებოდნენ და აქებდნენ მაღლის იშვიათ ჭკუას.

ელენე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვირის თავგადასავალი

## XXVI თავი.

(დასასრული)

ჰენრიეტას უნდოდა მაინც წაეყვანა, მაგრამ ჟანა არ გაჰყვა; ყველანი მომშორდნენ, ჟანას გარდა. მე წყნარად ვჭამდი, ვცდილი, ჟანა ხომ არ ამოიღებდა შვრიას, მანამ არ გავათავებდი ჭამას.

— რამდენსა სჭამს, აღარ გაათავებს? იძახდა ჟანა.— ხომ აღარ ჰშიან, მაგრამ მაინცა სჭამს... რა ცოტა დარჩა, სულ მაინც არ შესჭამოს... ცოტა რომ დასტოვოს, მალიან მიამება! სულ შევჭამდი შვრიას, მაგრამ საწყალი პატარა შემებრალა; როგორ უნდოდა წაეღო შვრია, მაგრამ ხელს ვერ აკარებდა; მე ვითომ გავძეხი, მოვშორდი ბაგას, შიგ კიდევ ნახევრამდე იყო. ჟანამ შეჰკივლა, მხიარულად წამოხტა, ამოიღო შვრია და წინ-საფარში ჩაიყარა.

— რა კარგი რამა ხარ, რა კეთილი ხარ, ჩემო ლამაზო კადიშონ!---მეუბნებოდა ჟანა.— შენისთანა მშვენიერი ვირი არ მინახავს. მალიან კარგია, რომ მსუნაგი არა ხარ! აი, მაგისთვის უყვარხარ ყველას, რომ აგრეთი კეთილი ხარ... კურდღლებიც ისიამოვნებენ! ვეტყვი, რომ შენ გაუგზავნე შვრია.

ჟანამ სულ ჩაცალა, რაც იყო, თავის წინ-საფარში და გაიქცა. დავინახე, კურდღლების ბინას მიუახლოვდა და მესმოდა მისი ბაასი ჩემ შესახებ, რომ მე სულაც მსუნაგი არ ვიყავ და რომ მე გაუგზავნე შვრია კურდღლებს; რომ იმათაც ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტებს უნდა უთავაზონ; აბა, პატარა ხანს უკან მოვალ და ვნახავ, თუ თქვენც კადიშონივით კეთილნი ხართ. გამოუხურა კარი და წავიდა გენრიეტასთან; მე გავყევი, რომ ოგიუსტის ამბავი შემეტყო. სახლს რომ მიუახლოვდი, ძალიან მესიამოვნა ოგიუსტის დანახვა. იჯდა მწვანეზე თავის ამხანაგებ შუა. დამინახა თუ არა, ადგა, მომიახლოვდა და მომიალერსა:

— აი, ჩემი მფარველი, უმაგისოდ ხომ დავიხრჩობოდი, რადგანაც გონება აღარ მქონდა, როცა კადიშონი წასწვდა ბეღეს, და ამომათრია; კარგად დავინახე, რომ წყალში ჩავარდა ჩემს ამოსაყვანად. ჩემ დღეში არ დავივიწყებ მაგის სამსახურს და ისე არ მოვალ აქა, რომ კადიშონსაც სალამი არ უძღვნა.

— ძალიან კარგი, ოგიუსტ,—უთხრა ბებიამ,—როცა კაცს კეთილი გული აქვს, ყოველთვის პირუტყვისაც ისეთი მადლობელი უნდა იყოს, როგორც ადამიანისა. მეც დავისხომებ კადიშონის სამსახურს, და, რაც უნდა მოხდეს, მაგას აღარ მოვიშორებ.

კამილა. აკი, ბებო, თქვენ გნებავდათ მაგის წისქვილში გაგზავნა ამ ერთის თვის წინად? იქ ხომ ძალიან უბედური იქნებოდა.

ბებია. აკი არ გავგზავნე, ჩემო მეგობრებო! მართალია, მინდოდა მაშინ, როდესაც ოგიუსტს ისე ცუდად მოეპყრო, და კიდევ ხსვა ცუდ საქმეებისთვის; ყველანი უჩიოდნენ. მაგრამ მაგისი წინანდელი სამსახურიც არ დამვიწყებია; ახლა-კი, არამც თუ აღარ მოვიშორებ, კარგადაც მოვავლევინებ, რომ კმაყოფილებით იცხოვროს.

— გმადლობ, ბებო, გმადლობ!—შესძახა ჟაკმა. და მოეხვია კისერზე ბებიას ისე მძლიერ, რომ კინაღამ წააქცია.—მე თითონ მოვუვლი კადიშონს, რადგან ძალიან მიყვარს და მაგასაც ყველაზე მეტად ვუყვარვარ.

ბებია. რად უნდა უყვარდე კადიშონს სხვებზე მეტად, ჩემო პატარა ქაკო? ეგ სამართალი არ იქნება.

— სამართლიანია, ბებო, რადგანაც ჩემ ბიძაშვილებზე უფრო მეტად მიყვარს კადიშონი და, როცა ეგ ცუდ საქმეს ჩადიოდა და აღარავის უყვარდა, მე მაინც ცოტათი კიდევ მქონდა მაგისი სიყვარული. ცოტა-კი არა, ძალიანაც მიყვარდა,— ვთქვა სიცილით. — არა, კადიშონ?

მე მიუახლოვდი და მხარზე თავი დავადე, ყველამ გაიცინა და ქაკმა განაგრძო: ჩემო ბიძაშვილებო, თანახმანი არა ხართ, რომ კადიშონს მე ყველაზე მეტად უყვარვარ?

— კარგი, კარგი! — უპასუხეს სიცილით ყმაწვილებმა.

— მართალი არ არის განა, რომ მე თქვენზე მეტად მიყვარდა და მიყვარს კადიშონი?

— დიაღ, დიაღ, მართალია, ვუპასუხეს.

ქაკ. ახლა ხომ ჰხედავ, ბებო, კადიშონი მე მოვიყვანე პირველად და ყველაზე მეტადაც მე მიყვარს; მაშ, სამართლით მაგასაც უნდა მეტად უყვარდე.

ბებია (ღიმილით). ძალიან კარგი, ჩემო შვილიკო, მაგრამ შენ რომ აქ არ იქნები, მაშინ ხომ ვეღარ მოუვლი.

ქაკ. (სიჩქარით). მე ყოველთვის აქ ვიქნები, ბებო.

ბებია. არა, ჩემო მგირფასო, ყოველთვის როგორ იქნები; როცა შენი დედ-მამა წავლენ, შენც წაგიყვანენ.

ქაკი დაღონდა ჩემზე დაურდნობილი და ჩაფიქრდა. უცებ სახე გაუნათლდა.

— ბებო, კადიშონს არ მაჩუქებ?

ბებია. შენ ყველაფერს მოგცემ, რაც გინდა, ჩემო პაწიავ, მაგრამ პარიზში კადიშონს ვერ წაიყვან.

ქაკ. ეგ მართლია, მაგრამ მაინც ხომ ჩემი იქნება და, როცა მამას თავის სასახლე ექმნება, კადიშონსაც წავიყვან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჩია. მაგ პირობით მოგცემ, ჩემო კარგო. მანამ-კი იცხოვრებს, და იქნება ჩემზე დიდხანსაც იცოცხლოს; მაშინ არ დაივიწყო, რომ კადიშონი შენი საკუთრებაა და უნდა კარგად მოუარო და განცხრომაში გყავდეს.

ამ დღიდან ჩემ პატარა პატრონს ქაკს უფრო და უფრო შეუყვარდი. მეც ჩემის მხრით ვცდილობდი ყველასთვის სასარგებლო ვყოფილიყავ და მესიამოვნებინა არა მარტო ჩემი პატრონი, არამედ ყველა სასახლეში მცხოვრები. მე არ ვნანობ, რომ ჩემი მალ-ღონე მოვანდომე ჩემს გასწორებას, რადგანაც ამ დღიდან შევიქენ ყველასთვის საყვარელი. მე განვაგრძობდი ემაწვილების ყურის გდებას, ვიხსნიდი სხვა და სხვა საფრთხესაგან, ვიცავდი ბოროტ ადამიანთა და პირუტყვთაგან. ოგიუსტ ხშირად გვეწვევოდა ხოლმე და თავის დღეში არ დავიწყებია ჩემთან შემოსვლა, რაიმე ჩემ საყვარელ სასუსნავსაც მომიტანდა ხოლმე. ხან ვაშლს, ხან მსხალს, ან მარილ-წაყრილ პურს, რომელიც მეტად მიყვარდა, ხან სალათას და სტაფილოს; ერთის სიტყვით, არ მივიწყებდა. აბა, რა რიგად ვცდებოდი ამ კეთილი გულის ემაწვილის შესახებ. ბოროტებად მიმაჩნდა იმისი ბავშური მკვეხარაობა და როგორ ვცდებოდი! ჩემის დღიურის წერა გამოიწვია ჟენრიხის და მის ბიძაშვილის ლაპარაკმა, რადგანაც ჟენრიხი ამტკიცებდა, კადიშონს არ ესმის რასაც მოქმედებსო, იმისი ბიძაშვილი-კი—და ნამეტნავად ჩემი ქაკი—ყოველთვის მესარჩლებოდნენ და ამტკიცებდნენ, კადიშონი ჭკვიანია და ყველასთვის საკეთე უნდაო. ერთხელ დიდი, ცივი ზამთარი იყო. თავლიდან არ გამოვდიოდი და მაშინ დავწერე ეს ჩემი თავ-გადასავალი; იქნება გაერთოთ, ჩემო პატარა მეგობარნო, და ამითი შეიტყობთ კიდეც, რომ, თუ მსახურთ კარგად მოექცევით, ისინიც კეთილად და თავდადებით გემსახურებიან; შეიძლება უჭკუოდ მიგაჩნდნენ ვირნი, მაგრამ ბევრჯელ მოსტყუვდებით და მიხვდებით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირსაც ჰქონია მოსიყვარულე გული; ისიცა გრძნობს ავსა და კარგს და სამაგიეროსაც უხდის. შეიძლება იყოს კეთილიც და ბოროტიც, ბედნიერიც და უბედურიც, გაუწიოს მტრობაც და მოყვრობაც, თუმცა საბრალო ვირია. მე ახლა ბედნიერად ვცხოვრობ, ყველასთვის საყვარელი ვარ, ქაკი ხომ ჩემი პირველი მეგობარია, მივლის და მპატრონობს; მართალია, სიბერე შემომეპარა, მაგრამ ვირები დიდხანს სცოცხლობენ და, სანამ სიარული შემეძლება და ღონე მექნება, ყოველ ჩემ ძალ-ღონეს და ჭკუას შევწირავ ჩემს კეთილ პატრონებს.

**ან. ამილახვარი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## შარადა

ამ სიტყვის შესადგენადა
ორი მარცვალი სჭირია:
პირველი — სახლი მწერისა,
უყვარს ყვავილი ტკბილია;

—

მუდამ რომ დაჭფრენს, მუშაობს
ყველასა გასახარადა.
მეორე — ნოტას იპოვით,
რომ გამოიცნოთ შარადა.

—

მთელი — სახლისა ავეჯი,
ყველა ოჯახში დგმულია,
ასე გაშინჯეთ, სოფელშიც
ძველადვე მიღებულია.

ვ. კ.

## რებუსი



მე-10 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

აფრინდა ქორი აფრინდა
არაგვი ჩაინადირა,
მცხეთას დაეცა დედალსა,
ავჭალას მტვერი ადინა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ. მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

**ზღაპრები**, ვილჰემ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

**ტომის თავ გადასავალი**, თხზულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . . . 50 კ.

**რას გვიამბობს ოთახი.** თხზულება ავენარიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . . . 20 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

**წელიწადი მეექვსე**

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

**I. დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი,**—ზღაპარი ევალდისა ექვსი სურათით.—**I. მარჯნები,**—ზღაპარი ევალდისა ოთხი სურათით. **III. თორმეტი და,**—ზღაპარი ევალდისა ერთი სურათით.—**IV. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.**

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

საზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

## ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

---

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**